

## ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი - IV

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

120

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, რომელიც შეძლებს თანამედროვე ინდივიდუალური და მასიური წარმოების პირობებში ტყავისა და ტყავის შემცველი მასალისაგან სხვადასხვა სირთულის ფეხსაცმლისა და აქსესუარების დამზადებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

- სამუშაო ადგილის ორგანიზება
- ხატვისა და ფერწერის ტექნიკური ხერხების გამოყენებით ჩანახატების შექმნა
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების ესკიზის შექმნა
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების კონსტრუქციული ნახაზის აგება
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა უსაფრთხოების წესები დაცვით.

## სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი -IV

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

106

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა იცოდეს სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება; სამზავრო და სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; შეკვეთის გაფორმება; გადაზიდვების მონიტორინგი და შეძლოს დასაქმება სატრანსპორტო - ლოჯისტიკურ ფირმებში, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმებში, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოჯისტიკურ კომპლექსებში, გამანაწილებელ და ლოჯისტიკურ ცენტრებში, საბაჟო ტერმინალურ კომპლექსებში, ან თვითდასაქმდეს.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

- სამზავრო გადაზიდვების დაგეგმვა
- სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა
- შეკვეთის გაფორმება
- გადაზიდვების მონიტორინგი
- სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება
- ლოჯისტიკური დანახარჯების გამოთვლა გადაზიდვა/გადაყვანის დროს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

არქიტექტორ-ტექნიკოსი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

106

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს არქიტექტორ-ტექნიკოსი, რომელიც შეძლებს პროექტის ხელმძღვანელის დახმარებას არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო სამუშაოების განხორციელების პროცესში; საპროექტო ტერიტორიის ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურულ აზომვას: ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულებას, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; ქალაქგეგმარებითი პროექტის წაკითხვას, წინასაპროექტო კვლევის ჩატარებას, მასალის კომპიუტერულ დამუშავებას, სივრცულ ფოტოგრაფირებას, მაკეტირებას; საპროექტო - ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენას; გუნდურ მუშაობას; დამოუკიდებელ მუშაობას და პასუხისმგებლობის აღებას ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, მცირე ინდივიდუალურ მეწარმეობას.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- არქიტექტურული ობიექტის ესკიზური პროექტის საფუძველზე მუშა პროექტის ნახაზის შესრულება /გამოხაზვა/;
- არქიტექტურულ ობიექტზე აზომვითი სამუშაოების შესრულება;
- არქიტექტურული ობიექტის ფოტოვიზუალიზაცია;
- არქიტექტურული ნახაზის შესრულება ტრადიციული გრაფიკული მეთოდით;
- არქიტექტურული ნახაზის შესრულება კომპიუტერული პროგრამების საშუალებით;
- არქიტექტურული ობიექტის მაკეტის შესრულება;
- საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.

## კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

78

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება შემდეგი კომპეტენციები: კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა, საინჟინრო გრაფიკული, კონსტრუქციული და სამანქანათმშენებლო ნახაზების შესრულება და ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემების მართვა. არქიტექტურული და სამშენებლო ობიექტების, გარემოს ორგანოზომილებიანი და სამგანზომილებიანი (2D, 3D) მოდელირება, ვიზუალიზაცია და ანიმაცია; საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. რასტრული გამოსახულების დამუშავება.

შემოქმედებითი მიდგომა ინოვაციური ამოცანების ამოხსნის და დანერგვის საკითხებში. განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად; კონკრეტული პროფესიული დარგის სპეციფიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენება. მცირე ინდივიდუალური მეწარმეობა.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

ობიექტის გამოხაზვა გრაფიკული ტრადიციული მეთოდით;

კომპიუტერულ პროგრამაში ნახაზის ელექტრონული ვერსიის შესრულება;

სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მოწყობილობების მზადყოფნაში მოყვანა;

საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება.

წვლილის შეტანა.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინფორმაციო გვერდი

საფოსტო რეკვიზიტები: მისამართი – 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას N77

კანცელარია - (+995 32) 2 36 50 93;

რექტორის სამდივნო - (+995 32) 2 36 51 55

ცნობათა ბიურო - (+995 32) 2 36 51 53;

ფაქსი – (+995 32) 2 36 51 55;

WEB – [www.gtu.edu.ge](http://www.gtu.edu.ge)

E-mail: info @gtu.ge

### პროფესიული პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პროფესიული სტუდენტების სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/ და მოდულით.

